



1

პროგრამის მიზნები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1. პროგრამის მიზნები

1.1 პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, უნდა ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მოამზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა.

1.2 მიზნები უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; აგრეთვე ასახავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

2

პროგრამის სწავლის შედეგები

2.1 პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

2.2 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობასა და ჩართულობას.

2.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი;

შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

2.4. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა:

თუ კურიკულუმი (და მისი ამსახველი რუკა) იმგვარად არის აგებული, რომ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს;

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება.

შესაძლებელია, ერთი სასწავლო კურსით პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება.

სწავლის შედეგის შეფასება ხდება იმ სემესტრში, რომელშიც ის დადგა.

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსი	ს.შ.1	ს.შ.2	ს.შ.3	ს.შ.4	ს.შ.5	ს.შ.6	ს.შ.7	ს.შ.8	ს.შ.9	ს.შ.10	ს.შ.11



პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები	ს.შ.1	ს.შ.2	ს.შ.3	ს.შ.4	ს.შ.5	ს.შ.6	ს.შ.7	ს.შ.8	ს.შ.9	ს.შ.10	ს.შ.11

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა)

1. გაცნობა;
2. გაღრმავება;
3. განმტკიცება

სასწავლო კურსი	ს.შ.1	ს.შ.2	ს.შ.3	ს.შ.4	ს.შ.5	ს.შ.6	ს.შ.7	ს.შ.8	ს.შ.9	ს.შ.10	ს.შ.11

3

სამიზნე ნიშნულები

1. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დადგენის შემდეგ თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს.
2. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: ყველაზე მაღალქულიანი რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას სწავლის შედეგების მიღწევის საშუალო მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი კი – სტუდენტთა შესაბამისად 10-10%-ს.
3. აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:
 - საკუთრივ სწავლის შედეგი/შედეგები;
 - კრედიტების/საათების განაწილება;
 - სწავლა-სწავლების მეთოდები;
 - თემატიკა და მისი მოცულობა;
 - შეფასების ფორმები და მეთოდები;
 - ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
 - სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ.
4. სამიზნე ნიშნულები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით.
5. აღნიშნული დიაპაზონი განსხვავებულია პროგრამების მიხედვით (იგულისხმება საშემსრულებლო მიმართულების პროგრამები).



6. პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს: რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობით შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება საბაკალავრო ნაშრომში.

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემთა შეგროვების დრო	პასუხისმგებელი პირი
სწ.შედ. 1					
სწ.შედ. 2					
სწ.შედ..					
სწ.შედ...					

7. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი

არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასებას; დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას და ა.შ. (კითხვარები).

4

შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

შედეგების ანალიზი:

- 1) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია მიღებული შედეგების გაანალიზება, ანალიზის შედეგად კი პროგრამის გაუმჯობესება.
- 2) ანალიზის ეტაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს.
- 3) ასევე ხდება განსაზღვრა, ხომ არ არის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.
- 4) შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს:
 - ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში;
 - ცვლილება კურსის წინაპირობებში;
 - ცვლილება სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში;
 - პროგრამიდან სასწავლო კურს(ებ)ის დამატება ან ამოღება;
 - ცვლილებები შეფასების მექანიზმებში და ა.შ.
- 5) განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.
- 6) მნიშვნელოვანია სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ მათ.
- 7) სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი ხდება მე-3-ე წელს.